

4/29/2025

**ფინანსური ანგარიშგება და  
აუდიტორული დსკვნა 2024  
წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისათვის.  
შპს „ბაგო“**

ქ. თბილისი

## Contents

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება .....             | 3  |
| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....                            | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....               | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                         | 5  |
| 1.1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა .....                            | 5  |
| 1.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 13 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....               | 14 |
| ბალანსის შემდგომი მოვლენები .....                                  | 23 |


შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

| აქტივები                                   | შენიშვნა | 2024           | 2023           | 2022           |
|--------------------------------------------|----------|----------------|----------------|----------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                |                |                |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 4741864        | 4260183        | 4251151        |
| არამატერიალური აქტივები                    | 5        | 4937           | 2200           | 2800           |
| გრძელვადიანი ინვესტიციები                  | 10       |                |                |                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>4746801</b> | <b>4262383</b> | <b>4253951</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                |                |                |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 694819         | 1622596        | 821615         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7        | 1309922        | 823035         | 402003         |
| მარაგები                                   | 8        | 0              | 0              |                |
| ახვა პირებზე გაცემული სესხები/ავანსები     |          | 1765390        | 0              | 30037          |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |          | 26054          | 19954          | 58345          |
| გაცემული სესხები                           | 11.1     |                |                |                |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>3796185</b> | <b>2465585</b> | <b>1312000</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>8542986</b> | <b>6727968</b> | <b>5565951</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |          |                |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 465240         | 865240         | 865240         |
| გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი      |          | 7137384        | 4836701        | 3735192        |
| სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება   |          |                |                | 0              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>7602624</b> | <b>5701941</b> | <b>4600432</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |          |                |                |                |
| გრძელვადიანი სესხები                       | 11       | 0              | 0              | 0              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>0</b>       | <b>0</b>       | <b>0</b>       |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                |                |                |
| მოკლევადიანი სესხები                       | 11       |                |                |                |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9        | 796665         | 885033         | 885721         |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები            |          | 50290          | 46834          | 43670          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          | 93407          | 94160          | 36128          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>940362</b>  | <b>1026027</b> | <b>965519</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>940362</b>  | <b>1026027</b> | <b>965519</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>8542986</b> | <b>6727968</b> | <b>5565951</b> |

გენერალური დირექტორი



გელა ბაგალიშვილი

მთავარი ბუღალტერი



ნათელა ჭიაბერაშვილი

1  
კ

შპს „ზაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## მოგება-ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

ათას ლარში

|                                                         | შენიშვნა | 2024             | 2023             |
|---------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები/თოვლმავლით მომსახურება                        | 12       | 7827474          | 7 697 703        |
| თვითღირებულება                                          | 13       | -4655028         | (5 561 601)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                    |          | <b>3172446</b>   | <b>2 136 102</b> |
| სხვა შემოსავლები                                        | 12       | 270594           | 301 717          |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი                         | 16       | -464948          | (452 192)        |
| სულ საბიუჯეტო ხარჯი                                     | 14       | 0                | -                |
| სხვა ხარჯები                                            | 15       | -664907          | (137 804)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                |          | <b>2313185</b>   | <b>1 847 823</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                           |          | 232527           |                  |
| ფინანსური ხარჯი                                         | 17       |                  | -                |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                |          | 0                | (10 628)         |
| წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი                           |          |                  | 0                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                               |          | <b>2545712</b>   | <b>1 837 195</b> |
| მოგების გადასახადი                                      | 18       | -37152           | -98452           |
| <b>წმინდა მოგება</b>                                    |          | <b>2508560</b>   | <b>1 738 743</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:                                  |          |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში</b> |          | <b>5 701 941</b> | <b>4600432</b>   |
| განაწილება მესაკუთრეებზე:                               |          | -610526          | -557895          |
| მათ შორის დივიდენდი                                     |          | -210527          |                  |
| სხვა ცვლილებები კაპიტალში                               |          | 2649             | -79339           |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                               |          |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლო</b>       |          | <b>7 602 624</b> | <b>5 701 941</b> |

გენერალური დირექტორი



გელა ზაგალიშვილი



შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

## კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ათას ლარში

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | კაპიტალი<br>ი ან<br>რეზერვები |                         | მთლიანი<br>კაპიტალი<br>01.01.2024 წლის<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|-----------------------|-------------------------------|-------------------------|--------------------------------------------------------|
|                                  |                       | დამატებით                     | გაუნაწილებელი<br>მოგება |                                                        |
| <b>2023 წლის 01 იანვარი</b>      | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                      | <b>3 735 192.00</b>     | <b>4 600 432.00</b>                                    |
| წმინდა მოგება                    | -                     |                               | 1 738 743.00            | <b>1 738 743.00</b>                                    |
| სხვა სრული შემოსავალი            |                       |                               |                         | -                                                      |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი</b> | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                      | <b>5 473 935.00</b>     | <b>6 339 175.00</b>                                    |
| გაცემული დივიდენდი               |                       |                               | (557 895.00)            | (557 895.00)                                           |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა         |                       | -                             | (79 339.00)             | (79 339.00)                                            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                      | <b>4 836 701.00</b>     | <b>5 701 941.00</b>                                    |
| წმინდა მოგება                    |                       |                               | 2 508 560.00            | 2 508 560.00                                           |
| სხვა სრული შემოსავალი            |                       |                               |                         |                                                        |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი</b> |                       |                               | <b>7 345 261.00</b>     | <b>8 210 501.00</b>                                    |
| გაცემული დივიდენდი               | -                     |                               | (210 526.00)            | (210 526.00)                                           |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა         | (400 000.00)          |                               | 2 649.00                | (397 351.00)                                           |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>465 240.00</b>     | <b>-</b>                      | <b>7 137 384.00</b>     | <b>7 602 624.00</b>                                    |

გენერალური დირექტორი



გელა ბაგალიშვილი



## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაგო“** (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი. თემქა, III მ/რ, IV კვ. კორპ 66, ბ 10 საქმიანობას ახორციელებს მისამართზე:

- გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელი თელეთი.
- საგარეჯოს რაიონის სოფელი გიორგიწმინდა;
- სიღნაღის რ.ნ ქ. წნორი
- დედოფლისწყარო

შპს „ბაგო“ ს 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე გელა ბაგალიშვილი პ/ნ 01018006453

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის შეძენა-განაწილება-მიწოდებას სხვადასხვა ავტო გაზ გასამართ სადგურებზე.

#### 1.1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### ტერმინების განმარტებები:

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება

შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

## **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტში.

## **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 50 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 7-10 წელი                            |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 10 წელი                              |
| ავტომობილები               | 10 წელი                              |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და ბუნებრივი აირის გატარების ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8068 | 2,9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6894 | 2,9753 |

## 1.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავები დებიტორის ამოღების მიზნით და აქვს იმედი რომ დებიტორს სასამართლოს წესით ამოიღებს.

შპს „ზაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

### ათას ლარი

| ლარში                        | შენიშვნა-გა<br>გებები | მანქანა<br>დანადგარე<br>ბი | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარ<br>ი | აღჭურვ<br>ილობა | სამშენებლ<br>ო<br>ხელსაწყო<br>ბი | დაუმთავრე<br>ბელი<br>მშენებლობ<br>ა | მიწა    | ჯამი    |
|------------------------------|-----------------------|----------------------------|-----------------------------------|-----------------|----------------------------------|-------------------------------------|---------|---------|
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით | 1352100               | 3575847                    | 434280                            | 0               | 0                                | 0                                   | 564954  | 5927181 |
| შესყიდვა                     | 0                     | 8474                       | 16670                             | 0               |                                  | 0                                   | 872662  | 897806  |
| გასვლა                       |                       |                            |                                   |                 |                                  | 0                                   | -203390 | -203390 |
| გაუფასურება                  |                       |                            |                                   |                 |                                  | 0                                   |         | 0       |
| მიღა ჯგუფური რეკლასიფიკაცია  |                       |                            |                                   |                 |                                  |                                     |         | 0       |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით | 1352100               | 3584321                    | 450950                            | 0               | 0                                | 0                                   | 1234226 | 6621597 |
| დაგროვილი ცვეთა              |                       | 0                          |                                   |                 |                                  |                                     |         | 0       |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით | 97026                 | 1459544                    | 110428                            | 0               | 0                                | 0                                   | 0       | 1666998 |
| ცვეთს ხარჯი                  | 3107                  | 174647                     | 35466                             | 0               |                                  |                                     |         | 213220  |
| გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა |                       | -485                       | 0                                 | 0               | 0                                |                                     |         | -485    |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით | 100133                | 1633706                    | 145894                            | 0               | 0                                | 0                                   | 0       | 1879733 |
| საბალანსო ღირებულება         |                       |                            |                                   |                 |                                  |                                     |         | 0       |
| 2023 წლის ბოლოს              | 1255074               | 2116303                    | 323852                            | 0               | 0                                | 0                                   | 564954  | 4260183 |
| 2024 წლის ბოლოს              | 1251967               | 1950615                    | 305056                            | 0               | 0                                | 0                                   | 1234226 | 4741864 |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირაფებული.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ათას ლარში

| ლარი                  | პროგრამებ ლიცენზიე |       |      |       |
|-----------------------|--------------------|-------|------|-------|
|                       | ი                  | ბი    | სხვა | ჯამი  |
| 2023 წლის ბოლოს       |                    | 4000  | 0    | 4000  |
| შემოსვლა              |                    | 3220  | 0    | 3220  |
| გასვლა                |                    |       | 0    | 0     |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | 7220  | 0    | 7220  |
| დაგროვილი ამორტიზაცია |                    | -1800 |      | -1800 |
| 2023 წლის ბოლოს       |                    | -483  | 0    | -483  |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | -2283 | 0    | -2283 |
| საბალანსო ღირებულება  |                    |       |      | 0     |
| 2023 წლის ბოლოს       | 0                  | 2200  | 0    | 2200  |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | 4937  | 0    | 4937  |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არის აღრიცხული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ათას ლარში

| ლარში                    | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------|------------|------------|
| ფული სალაროში            | 636290     | 1528483    |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 58529      | 94113      |
|                          | 694819     | 1622596    |

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ათას ლარში

| ლარი                                  | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|---------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები      | 1309922    | 823035     |
| საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი    | 0          | 0          |
| მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ | 0          | 0          |
|                                       | 1309922    | 823035     |

შენიშვნა – 8 მარაგები

ათას ლარში

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

| ლარში                  | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|------------------------|------------|------------|
| დაუმთავრებელი წარმოება |            |            |
| ნედლეული               |            |            |
| საქონელი               |            |            |
| სხვა მარაგები          |            |            |
| წინასწარ გაწეული ხარჯი |            |            |
|                        | -          | -          |

შენიშვნა 9

სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები

ათას ლარში

|                          | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები    | 796 665.00 | 885 033.00 |
| გადასახდელი ხელფასები    |            |            |
| გადასახდელი პროცენტები   |            |            |
| გადასახდელი გადასახადები | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები       | -          | 46 834.00  |
|                          | 796 665.00 | 931 867.00 |

შპს „ზაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

შენიშვნა – 11,1 გაცემული სესხები

ათას ლარში

| ლარში                         | მოკლევადიანი |            | გრძელვადიანი |            |
|-------------------------------|--------------|------------|--------------|------------|
|                               | 31.12.2024   | 31.12.2023 | 31.12.2024   | 31.12.2023 |
| ბანკის სესხები                | 0            |            | 0            | 0          |
| დაკავშირებული მხარეების სესხი |              |            | 1765390      |            |
| ოვერდრაფტები                  | 0            |            |              |            |
| სულ სესხები                   | 0            | 0          | 1765390      | 0          |

შენიშვნა – 12 ამონაგები

ათას ლარში

| ლარი                        | 31.12.2023   | 31.12.2023   |
|-----------------------------|--------------|--------------|
| შემოსავლები მომსახურებიდან  |              |              |
| საქონლის რეალიზაციიდან      | 7 827 474    | 7 697 703.00 |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 270 594.00   | 301 717.00   |
|                             | 8 098 068.00 | 7 999 420.00 |

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ათას ლარში

| ლარში                       | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-----------------------------|------------|------------|
| საქონლის თვითღირებულება     | 4655028    | 5561601    |
| საქონლის თვითღირებულება     | 0          | 0          |
| მომსახურების თვითღირებულება | 0          | 0          |
|                             | 4655028    | 5561601    |

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ათას ლარში

| ლარი                            | 31.12.2024 | 01.01.2023 |
|---------------------------------|------------|------------|
| სარეკლამო ხარჯი                 |            |            |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი     |            |            |
| სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი |            |            |
| რეალიზაციის ხარჯი               |            |            |
|                                 | 0          | 0          |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა-16

**ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

| ლარი                       | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|----------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება         | 250 000        | 246 400        |
| სოციალური ხარჯი            | 1 728          | 1 584          |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 175 576        | 106 077        |
| დაზღვევის ხარჯი            | 2 976          | 2 976          |
| საგადასახადო ხარჯი         | 44595          |                |
| საკონსულტაციო ხარჯი        | 35 940         | 21 491         |
| რემონტის ხარჯი             | 63 568         | 22 160         |
| ბანკის მომსახურება         | 700            | 1 017          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები  | -              | -              |
| იჯარის ხარჯი               | -              | -              |
| მივლინების ხარჯები         | -              | -              |
| რეგულირების საფასური       | 23 756         | 24 003         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 39057          | 26 484         |
| კომუნიკაციის ხარჯები       | 491959         | -              |
|                            | <b>1129855</b> | <b>452 192</b> |
| Check                      | -              | -              |

**მოგების გადასახადის ხარჯი**

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სტაბილური დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებულ მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

| ლარი                    | 31.12.2024   | 31.12.2023   |
|-------------------------|--------------|--------------|
| მიმდინარე მოგების ხარჯი | 37152        | 98452        |
|                         | <b>37152</b> | <b>98452</b> |

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

წარმოიშვა ტრანზაქციებიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტის მათვარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

სხვა ბიზნესის მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკი და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური აქტივები

ათას ლარში

| 2024 წლის                                     | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| ფული და ფულთან<br>გათანაბრებული ინსტრუმენტები | 694819         | 1622596        |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი<br>მოთხოვნები    | 1309922        | 823035         |
| გაცემული სესხები                              | 1765390        |                |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>3770131</b> | <b>2445631</b> |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

ფინანსური ვალდებულებები

ათას ლარში

|                       | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-----------------------|------------|------------|
| სესხები               | 0          |            |
| სავაჭრო ვალდებულებები | 796665     | 885033     |
| სულ ვალდებულებები     | 796665     | 885033     |

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უთარდება გამოკითხვა სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მომსახურების პირობებს შესთავაზებენ.

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

### საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან სესხი სრულად აქვს დაფარული.

### სავალუტო რისკი

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ჯგუფის სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

2024 წელი

ათას ლარში

| ფინანსური აქტივები                         | შენი |     | ლარი   | დოლარი | ევრო | GBP | CHF | რუბლი |
|--------------------------------------------|------|-----|--------|--------|------|-----|-----|-------|
|                                            | შენა | სულ |        |        |      |     |     |       |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6    |     | 636290 |        |      |     |     | 0 0   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7    |     | 58529  |        |      |     |     |       |
| გაცემული სესხები                           |      |     |        |        |      |     |     |       |
| სულ ფინანსური აქტივები                     |      |     | 0      | 694819 | 0    | 0   | 0   | 0     |

კომპანიაში საჭიროების მიხედვით ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა და ვაჭრობა უცხოური ვალუტით. არსებითია დადგინდეს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებებს. განიხილავენ სავალუტო რისკის შემდეგ ტიპებს:

- საოპერაციო რისკი;
  - ეკონომიკური რისკი.
- საოპერაციო რისკი არის ოპერაციის ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღებს შორის პერიოდში ვალუტის კურსის ცვლილების რისკი, საოპერაციო რისკი არის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი- მოგება ან ზარალი. კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს რისკის მინიმუმამდე შემცირება ანუ ჰეჯირება თუ საქმე ეხება:
- მნიშვნელოვან მოცულობას; დროის მნიშვნელოვან პერიოდს; მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ სავალუტო კურსი მნიშვნელოვნად შეიცვლება.
- ეკონომიკური რისკი არის სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების გამო, საქმიანობის ღირებულების ცვალებადობა, ეს არის საოპერაციო რისკის გრძელვადიანი ვერსია.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ეკონომიკური რისკის საფრთხის წინაშე კომპანია შეიძლება ორი-პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღმოჩნდეს:

პირდაპირი გზა გულისხმობს, რომ ადგილობრივი ვალუტის გამყარების შემთხვევაში, უცხოელ კონკურენტებს შეეძლებად გაყიდვების გაზრდა.

სავალუტო რისკის საფრთხე შემოისაზღვრება მხოლოდ ანგარიშზე არსებული წმინდა ნაშთით.

ამრიგად სავალუტო რისკი წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში. მიზანშეწონილია საწარმომ ჩამოაყალიბოს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის იდენტიფიცირებას, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენას, რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანას.

### **სავალუტე რისკის მგრძნობელობა**

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში და ევროში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

### **პირობითი ვალდებულება**

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება მიმდინარე სასამართლო დავების სავარაუდო შედეგების აღიარება. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მიმდინარე დავებიდან, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი პერიოდის შედეგებზე.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

## **ბალანსის შემდგომი მოვლენები**

კომპანიამ 2024 წელს დაგროვილი ფულადი სახსრები სესხად გასცა შეზღუდული  
პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე. ასევე შეიძინა 59 ჰა მიწის ნაკვეთი.

4/29/2025

ფინანსური ანგარიშგება და  
აუდიტორული დსკვნა 2024  
წლის 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისათვის.  
შპს „ბაგო“

ქ. თბილისი

## Contents

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება .....             | 3  |
| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....                            | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....               | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                         | 5  |
| 1.1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა .....                            | 5  |
| 1.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 13 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....               | 14 |
| ბალანსის შემდგომი მოვლენები .....                                  | 23 |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

| აქტივები                                   | შენიშვნა | 2024           | 2023           | 2022           |
|--------------------------------------------|----------|----------------|----------------|----------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                |                |                |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 4741864        | 4260183        | 4251151        |
| არამატერიალური აქტივები                    | 5        | 4937           | 2200           | 2800           |
| გრძელვადიანი ინვესტიციები                  | 10       |                |                |                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>4746801</b> | <b>4262383</b> | <b>4253951</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                |                |                |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 694819         | 1622596        | 821615         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7        | 1309922        | 823035         | 402003         |
| მარაგები                                   | 8        | 0              | 0              |                |
| ახვა პირებზე გაცემული სესხები/ავანსები     |          | 1765390        | 0              | 30037          |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |          | 26054          | 19954          | 58345          |
| გაცემული სესხები                           | 11.1     |                |                |                |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>3796185</b> | <b>2465585</b> | <b>1312000</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>8542986</b> | <b>6727968</b> | <b>5565951</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |          |                |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 465240         | 865240         | 865240         |
| გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი      |          | 7137384        | 4836701        | 3735192        |
| სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება   |          |                |                | 0              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>7602624</b> | <b>5701941</b> | <b>4600432</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |          |                |                |                |
| გრძელვადიანი სესხები                       | 11       | 0              | 0              | 0              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>0</b>       | <b>0</b>       | <b>0</b>       |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                |                |                |
| მოკლევადიანი სესხები                       | 11       |                |                |                |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9        | 796665         | 885033         | 885721         |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები            |          | 50290          | 46834          | 43670          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          | 93407          | 94160          | 36128          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>940362</b>  | <b>1026027</b> | <b>965519</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>940362</b>  | <b>1026027</b> | <b>965519</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>8542986</b> | <b>6727968</b> | <b>5565951</b> |

გენერალური დირექტორი

გელა ბაგალიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნათელა ჭიაბერაშვილი

რ.კ.პ.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## მოგება-ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

ათას ლარში

|                                                         | მენიშვნა | 2024             | 2023             |
|---------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები/თოვლმავლით მომსახურება                        | 12       | 7827474          | 7 697 703        |
| თვითღირებულება                                          | 13       | -4655028         | (5 561 601)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                    |          | <b>3172446</b>   | <b>2 136 102</b> |
| სხვა შემოსავლები                                        | 12       | 270594           | 301 717          |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი                         | 16       | -464948          | (452 192)        |
| სულ საბიუჯეტო ხარჯი                                     | 14       | 0                | -                |
| სხვა ხარჯები                                            | 15       | -664907          | (137 804)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                |          | <b>2313185</b>   | <b>1 847 823</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                           |          | 232527           |                  |
| ფინანსური ხარჯი                                         | 17       |                  | -                |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                |          | 0                | (10 628)         |
| წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი                           |          |                  | 0                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                               |          | <b>2545712</b>   | <b>1 837 195</b> |
| მოგების გადასახადი                                      | 18       | -37152           | -98452           |
| <b>წმინდა მოგება</b>                                    |          | <b>2508560</b>   | <b>1 738 743</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:                                  |          |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში</b> |          | <b>5 701 941</b> | <b>4600432</b>   |
| განაწილება მესაკუთრეებზე:                               |          | -610526          | -557895          |
| მათ შორის დივიდენდი                                     |          | -210527          |                  |
| სხვა ცვლილებები კაპიტალში                               |          | 2649             | -79339           |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                               |          |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლო</b>       |          | <b>7 602 624</b> | <b>5 701 941</b> |

გენერალური დირექტორი

გელა ბაგალიშვილი

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ათას ლარში

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | კაპიტალში<br>ან<br>რეზერვებში<br>დამატებით<br>გაუნაწილებელი<br>მოგება |                     | მთლიანი<br>კაპიტალი<br>01.01.2024 წლის<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|-----------------------|-----------------------------------------------------------------------|---------------------|--------------------------------------------------------|
|                                  |                       |                                                                       |                     |                                                        |
| <b>2023 წლის 01 იანვარი</b>      | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                                                              | <b>3 735 192.00</b> | <b>4 600 432.00</b>                                    |
| წმინდა მოგება                    | -                     |                                                                       | 1 738 743.00        | <b>1 738 743.00</b>                                    |
| სხვა სრული შემოსავალი            |                       |                                                                       |                     | -                                                      |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი</b> | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                                                              | <b>5 473 935.00</b> | <b>6 339 175.00</b>                                    |
| გაცემული დივიდენდი               |                       |                                                                       | (557 895.00)        | (557 895.00)                                           |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა         |                       | -                                                                     | (79 339.00)         | (79 339.00)                                            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>865 240.00</b>     | <b>-</b>                                                              | <b>4 836 701.00</b> | <b>5 701 941.00</b>                                    |
| წმინდა მოგება                    |                       |                                                                       | 2 508 560.00        | 2 508 560.00                                           |
| სხვა სრული შემოსავალი            |                       |                                                                       |                     |                                                        |
| <b>პერიოდის სრული შემოსავალი</b> |                       |                                                                       | <b>7 345 261.00</b> | <b>8 210 501.00</b>                                    |
| გაცემული დივიდენდი               | -                     |                                                                       | (210 526.00)        | (210 526.00)                                           |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა         | (400 000.00)          |                                                                       | 2 649.00            | (397 351.00)                                           |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>    | <b>465 240.00</b>     | <b>-</b>                                                              | <b>7 137 384.00</b> | <b>7 602 624.00</b>                                    |

გენერალური დირექტორი

გელა ბაგალიშვილი

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაგო“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი. თემქა, III მ/რ, IV კვ. კორპ 66, ბ 10 საქმიანობას ახორციელებს მისამართზე:

- გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელი თელეთი.
- საგარეჯოს რაიონის სოფელი გიორგიწმინდა;
- სიღნაღის რ.ნ ქ. წნორი
- დედოფლისწყარო

შპს „ბაგო“ ს 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე გელა ბაგალიშვილი პ/ნ 01018006453

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის შეძენა-განაწილება-მიწოდებას სხვადასხვა ავტო გაზ გასამართ სადგურებზე.

#### 1.1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება

## შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

## სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

## ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

## შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილი იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 50 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 7-10 წელი                            |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 10 წელი                              |
| ავტომობილები               | 10 წელი                              |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და ბუნებრივი აირის გატარების ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

## შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8068 | 2,9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6894 | 2,9753 |

## 1.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავები დებიტორის ამოღების მიზნით და აქვს იმედი რომ დებიტორს სასამართლოს წესით ამოიღებს.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

### ათას ლარი

| ლარში                        | მენობა-ნაგებები | მანქანა დანადგარები | ავტო და სხვა ინვენტარი | ადჭურვილობა | სამშენებლო ხელსაწყოები | დაუმთავრებელი მშენებლობა | მიწა    | ჯამი    |
|------------------------------|-----------------|---------------------|------------------------|-------------|------------------------|--------------------------|---------|---------|
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით | 1352100         | 3575847             | 434280                 | 0           | 0                      | 0                        | 564954  | 5927181 |
| შესყიდვა                     | 0               | 8474                | 16670                  | 0           |                        | 0                        | 872662  | 897806  |
| გასვლა                       |                 |                     |                        |             |                        | 0                        | -203390 | -203390 |
| გაუფასურება                  |                 |                     |                        |             |                        | 0                        |         | 0       |
| მიღა ჯგუფური რეკლასიფიკაცია  |                 |                     |                        |             |                        |                          |         | 0       |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით | 1352100         | 3584321             | 450950                 | 0           | 0                      | 0                        | 1234226 | 6621597 |
| დაგროვილი ცვეთა              |                 | 0                   |                        |             |                        |                          |         | 0       |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით | 97026           | 1459544             | 110428                 | 0           | 0                      | 0                        | 0       | 1666998 |
| ცვეთს ხარჯი                  | 3107            | 174647              | 35466                  | 0           |                        |                          |         | 213220  |
| გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა |                 | -485                | 0                      | 0           | 0                      |                          |         | -485    |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით | 100133          | 1633706             | 145894                 | 0           | 0                      | 0                        | 0       | 1879733 |
| საბალანსო ღირებულება         |                 |                     |                        |             |                        |                          |         | 0       |
| 2023 წლის ბოლოს              | 1255074         | 2116303             | 323852                 | 0           | 0                      | 0                        | 564954  | 4260183 |
| 2024 წლის ბოლოს              | 1251967         | 1950615             | 305056                 | 0           | 0                      | 0                        | 1234226 | 4741864 |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ათას ლარში

| ლარი                  | პროგრამებ ლიცენზიე |       |      |       |
|-----------------------|--------------------|-------|------|-------|
|                       | ი                  | ბი    | სხვა | ჯამი  |
| 2023 წლის ბოლოს       |                    | 4000  | 0    | 4000  |
| შემოსვლა              |                    | 3220  | 0    | 3220  |
| გასვლა                |                    |       | 0    | 0     |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | 7220  | 0    | 7220  |
| დაგროვილი ამორტიზაცია |                    | -1800 |      | -1800 |
| 2023 წლის ბოლოს       |                    | -483  | 0    | -483  |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | -2283 | 0    | -2283 |
| საბალანსო ღირებულება  |                    |       |      | 0     |
| 2023 წლის ბოლოს       | 0                  | 2200  | 0    | 2200  |
| 2024 წლის ბოლოს       | 0                  | 4937  | 0    | 4937  |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არის აღრიცხული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ათას ლარში

| ლარში                    | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------|------------|------------|
| ფული საღაროში            | 636290     | 1528483    |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 58529      | 94113      |
|                          | 694819     | 1622596    |

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ათას ლარში

| ლარი                                  | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|---------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები      | 1309922    | 823035     |
| საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი    | 0          | 0          |
| მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ | 0          | 0          |
|                                       | 1309922    | 823035     |

შენიშვნა – 8 მარაგები

ათას ლარში

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

| ლარში                  | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|------------------------|------------|------------|
| დაუმთავრებელი წარმოება |            |            |
| ნედლეული               |            |            |
| საქონელი               |            |            |
| სხვა მარაგები          |            |            |
| წინასწარ გაწეული ხარჯი |            |            |
|                        | -          | -          |

შენიშვნა 9

სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები

ათას ლარში

|                          | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|--------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები    | 796 665.00 | 885 033.00 |
| გადასახდელი ხელფასები    |            |            |
| გადასახდელი პროცენტები   |            |            |
| გადასახდელი გადასახადები | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები       | -          | 46 834.00  |
|                          | 796 665.00 | 931 867.00 |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა – 11,1 გაცემული სესხები

ათას ლარში

| ლარში                         | მოკლევადიანი |            | გრძელვადიანი |            |
|-------------------------------|--------------|------------|--------------|------------|
|                               | 31.12.2024   | 31.12.2023 | 31.12.2024   | 31.12.2023 |
| ბანკის სესხები                | 0            |            | 0            | 0          |
| დაკავშირებული მხარეების სესხი |              |            | 1765390      |            |
| ოვერდრაფტები                  | 0            |            |              |            |
| სულ სესხები                   | 0            | 0          | 1765390      | 0          |

შენიშვნა – 12 ამონაგები

ათას ლარში

| ლარი                        | 31.12.2023   | 31.12.2023   |
|-----------------------------|--------------|--------------|
| შემოსავლები მომსახურებიდან  |              |              |
| საქონლის რეალიზაციიდან      | 7 827 474    | 7 697 703.00 |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 270 594.00   | 301 717.00   |
|                             | 8 098 068.00 | 7 999 420.00 |

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ათას ლარში

| ლარში                       | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-----------------------------|------------|------------|
| საქონლის თვითღირებულება     | 4655028    | 5561601    |
| საქონლის თვითღირებულება     | 0          | 0          |
| მომსახურების თვითღირებულება | 0          | 0          |
|                             | 4655028    | 5561601    |

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ათას ლარში

| ლარი                            | 31.12.2024 | 01.01.2023 |
|---------------------------------|------------|------------|
| სარეკლამო ხარჯი                 |            |            |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი     |            |            |
| სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი |            |            |
| რეალიზაციის ხარჯი               |            |            |
|                                 | 0          | 0          |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შენიშვნა-16

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

| ლარი                       | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|----------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება         | 250 000        | 246 400        |
| სოციალური ხარჯი            | 1 728          | 1 584          |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 175 576        | 106 077        |
| დაზღვევის ხარჯი            | 2 976          | 2 976          |
| საგადასახადო ხარჯი         | 44595          |                |
| საკონსულტაციო ხარჯი        | 35 940         | 21 491         |
| რემონტის ხარჯი             | 63 568         | 22 160         |
| ბანკის მომსახურება         | 700            | 1 017          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები  | -              | -              |
| იჯარის ხარჯი               | -              | -              |
| მივლინების ხარჯები         | -              | -              |
| რეგულირების საფასური       | 23 756         | 24 003         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 39057          | 26 484         |
| კომუნიკაციის ხარჯები       | 491959         | -              |
|                            | <b>1129855</b> | <b>452 192</b> |
| Check                      | -              | -              |

მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

| ლარი                    | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------------|------------|------------|
| მიმდინარე მოგების ხარჯი | 37152      | 98452      |
|                         | 37152      | 98452      |

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

წარმოიშვა ტრანზაქციებიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტის მათვარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

სხვა ბიზნესის მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკი და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური აქტივები

ათას ლარში

| 2024 წლის                                     | 31.12.2024     | 31.12.2023     |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| ფული და ფულთან<br>გათანაბრებული ინსტრუმენტები | 694819         | 1622596        |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი<br>მოთხოვნები    | 1309922        | 823035         |
| გაცემული სესხები                              | 1765390        |                |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>3770131</b> | <b>2445631</b> |

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

ფინანსური ვალდებულებები

ათას ლარში

|                       | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-----------------------|------------|------------|
| სესხები               | 0          |            |
| სავაჭრო ვალდებულებები | 796665     | 885033     |
| სულ ვალდებულებები     | 796665     | 885033     |

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უთარდება გამოკითხვა სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მომსახურების პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდეს, რადგან სესხი სრულად აქვს დაფარული.

სავალუტო რისკი

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ჯგუფის სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

2024 წელი

ათას ლარში

| ფინანსური აქტივები                         | შენი |     | ლარი   | დოლარი/ევრო | GBP | GHF | რუბლი |
|--------------------------------------------|------|-----|--------|-------------|-----|-----|-------|
|                                            | მვნი | სულ |        |             |     |     |       |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6    |     | 636290 |             |     |     | 0 0   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7    |     | 58529  |             |     |     |       |
| გაცემული სესხები                           |      |     |        |             |     |     |       |
| სულ ფინანსური აქტივები                     |      |     | 0      | 694819      | 0   | 0   | 0     |

კომპანიაში საჭიროების მიხედვით ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა და ვაჭრობა უცხოური ვალუტით. არსებითია დადგინდეს რა გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებებს. განიხილავენ სავალუტო რისკის შემდეგ ტიპებს:

- საოპერაციო რისკი;
  - ეკონომიკური რისკი.
- საოპერაციო რისკი არის ოპერაციის ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღებს შორის პერიოდში ვალუტის კურსის ცვლილების რისკი, საოპერაციო რისკი არის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი- მოგება ან ზარალი. კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს რისკის მინიმუმამდე შემცირება ანუ ჰეჯირება თუ საქმე ეხება:
- მნიშვნელოვან მოცულობას; დროის მნიშვნელოვან პერიოდს; მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ სავალუტო კურსი მნიშვნელოვნად შეიცვლება.
- ეკონომიკური რისკი არის სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების გამო, საქმიანობის ღირებულების ცვალებადობა, ეს არის საოპერაციო რისკის გრძელვადიანი ვერსია.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ეკონომიკური რისკის საფრთხის წინაშე კომპანია შეიძლება ორი-პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღმოჩნდეს:

პირდაპირი გზა გულისხმობს, რომ ადგილობრივი ვალუტის გამყარების შემთხვევაში, უცხოელ კონკურენტებს შეეძლება გაყიდვების გაზრდა.

სავალუტო რისკის საფრთხე შემოისაზღვრება მხოლოდ ანგარიშზე არსებული წმინდა ნაშთით.

ამრიგად სავალუტო რისკი წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში. მიზანშეწონილია საწარმომ ჩამოაყალიბოს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის იდენტიფიცირებას, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენას, რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანას.

### **სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში და ევროში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

### **პირობითი ვალდებულება**

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება მიმდინარე სასამართლო დავების სავარაუდო შედეგების აღიარება. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მიმდინარე დავებიდან, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი პერიოდის შედეგებზე.

შპს „ბაგო“ ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

## ბალანსის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2024 წელს დაგროვილი ფულადი სახსრები სესხად გასცა შეზღუდული  
პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე. ასევე შეიძინა 59 ჰა მიწის ნაკვეთი.